

მარგვილის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ გრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2024 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის, 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მარგვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 88,060 ჰა-ს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 21,947 ჰექტარი, ხოლო 45,000 ჰა ტყეებს უჭირავს. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემებია: მანძილი თბილისამდე - 279 კმ; მანძილი ზუგდიდამდე - 80 კმ; უახლოესი პორტი ქალაქი ფოთი - 70 კმ; უახლოესი რკინიგზის სადგური - ქ. აბაშა 35 კმ; უახლოესი აეროპორტი-ქუთაისი, კოპიტნარი - 40 კმ.

ადმინისტრაციული ცენტრია ქ. მარგვილი, ხოლო მარგვილის მუნიციპალიტეტში 20 სოფლის ადმინისტრაციული ერთეულია.

დემოგრაფია მუნიციპალიტეტში იგრძნობა მოსახლეობის მიგრაციის პროცესი, რაც გამოწვეულია დასაქმების პრობლემით. ბოლო წლებში გაზრდილია მოსახლეობის გადინება სოფლიდან ქალაქში. მიგრაციის უარყოფითი გენდერული მიზეზი მძიმე სოციალური პირობებია, მას შემდეგ რაც ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად სხვადასხვა ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად, მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების სიმცირის გამო ძალიან მცირე რაოდენობა ბრუნდება, შედეგად თანდათან მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. ასევე მიგრაცია ხდება სხვადასხვა ქვეყნებში და მისი მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, ასევე არასტაბილური სოციალური მდგომარეობაა.

მარგვილის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 32,2 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 10%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში 13%-ია, ხოლო 87 % ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 4%-ით. შემცირების გენდერით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (-4%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 36,5 კაც/კვ.კმ-ზე.

სოციალური პაკეტის მიმდებარე რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე შემცირდა 2%-ით და მიაღწია 2 239 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმდებარე რაოდენობას მოცემული ღრის მონაკვეთში გაიზარდა 1%-ით (8 045 კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 82%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 8%-ია და 7%-იანი კლებით ხასიათდება (2015- 2018წწ.)

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ მარგვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები. 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გაერკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ მარგვილის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გომოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 88,0 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

მარგვილის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნის და რეგიონის მონაცემებთან 2022 წლის მონაცემების მიხედვით			
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)	გადასახდელები (ათას ლარებში)
სულ საქართველო	3736.4	69700.0	19991247.1
სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი	330.761	7468.2	260103.3
მარგვილის მუნიციპალიტეტი	30.7	880.6	22190.9
პროცენტი საქართველოსთან	8.21	1.26	1.11
პროცენტი რეგიონთან	9.28	11.79	8.53

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღე-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის გზერული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით							
პრიორიტეტი ს კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,992. 8	5,614.1	5,961. 3	6,350. 0	6,800. 8	6,800. .8
	მ.შ. რიცხოვნობა	190	190	190	190	190	190
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	10,379. 2	11,451. 2	1,872. 3	3,450. 0	3,004. 2	3004. 2
	მ.შ. რიცხოვნობა	24	26	26	26	26	26
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	913.6	992.7	980.0	1000.0	1000.0	1100. 0
	მ.შ. რიცხოვნობა	58	65	67	70	70	70
04 00	განათლება	2,655. 6	3,210.7	2,621. 0	2,700. 0	2,800. 0	3000
	მ.შ. რიცხოვნობა	222	256	256	260	265	270
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,907. 0	2,407. 1	2,399. 8	2,450. 0	2,500. 0	2,500 .0
	მ.შ. რიცხოვნობა	223	242	242	242	245	245
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,342. 6	1,576.5	1,587. 0	1,750. 0	1,850. 0	1,900. 0
	მ.შ. რიცხოვნობა	13	13	13	13	13	13

2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება

2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 22574.0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22831.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101.1%-ი.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიმებულია 22621,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22375.1 ათასი ლარი) 101.1% და მთლიანი - შემოსულობების 99% შეადგინა. მათ შორის:

11960.0 ათასი ლარის 101.4%. წინა წელთან შედარებით (ფაქტი - 9773.8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 2350.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აკუმულირებული თანხის დიდი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 654.3 ათასი

ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 421.9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) 9.3 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან 223.1 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ქონების გადასახადი 2021 წლის ფაქტი 500.4 ათასი ლარი) შედარებით 193.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის. დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 11470.0 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი 9273.4 ათასი ლარი) შედარებით 2196.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული¹.

გრანტების სახით ბიუჯეტში მიღებულია 9555.4 ათასი ლარი, (სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 9555.4 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი გრანტური დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 968.0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 6355.9 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 990.0 ათასი ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები 980.4 ათასი ლარი, კაპიტალური გრანტური 200.0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 941.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 806.7 ათასი ლარის 116.7%-ია.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	22375.1	22621.3	246.2	101.1
გადასახადები	11960.0	12124.26	164.3	101.3
გრანტები	9608.38 7	9555.37	-53.0	99.4
სხვა შემოსავლები	806.7	941.635	134.9	116.7

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2022 წელს მობილიზებული იქნა 209.7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (198.9 ათასი ლარის) 105.4%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 14.1 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 205.3 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0.09% შეადგენს.

2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 2987.8 ათასი ლარი, 2022 წელს ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 2034.3 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ 640.1 ათასი ლარი.

2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25561.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 22190.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 12185.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 11438.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 51 %-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 13198.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 10575.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 48%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 178.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 176.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.2%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1%-ია.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 4816.0 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –8137.0 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 1132.7 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 2023.1 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –861.9 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 1907.0 ათასი ლარი;
- ✓ განათლება –2655.6 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –480.8 ათასი ლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ კრილში (ათას ლარებში)			
ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წელი	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4816.0	90%
704	ეკონომიკური საქმიანობა	6,8137.0	88%
705	გარემოს დაცვა	1132.7	77%
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2023.1	56%
707	ჯანმრთელობის დაცვა	861.9	99.9%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1907.0	94.4%
709	განათლება	2655.6	95.1%
710	სოციალური დაცვა	480.8	95.7%

2022 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 22190.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (25561.8 ათასი ლარი) 86.8%-ია. მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქციის ხარჯები დაზუსტებული გეგმით უნდა გაწეულიყო 12896.4 ათ. ლარის ოდენობით ფაქტიურად გაწეულია 10379.8 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 80.4%.
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯები დაზუსტებული გეგმით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით უნდა გაწეულიყო 965.4 ათ. ლარის ოდენობით. ფაქტიურად გაწეულია 913.6 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 94.6%.
- ✓ განათლების ხარჯები დაზუსტებული გეგმით უნდა გაწეულიყო 2649.4 ათ. ლარის ოდენობით. ფაქტიურად გაწეულია 2053.5 ათ. ლარის ხარჯი, გეგმიურის 94.5%;
- ✓ კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები გაწეულია 1907.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1997.3 ათასი ლარი) გეგმიურის 95.4%;
- ✓ ე)სოციალური და ჯანდაცის პროგრამების ხარჯები გაწეულია 1342.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1364.1 ათასი ლარი) 98.4%;
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 4816.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (5369.6 ათასი ლარი) 90%-ია.

2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

მარგვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 12646.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11213.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 88.7%.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების მეორე კვარტლის (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 12600.3 ათასი ლარი, ფაქტიურად 11157.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 88.5% და მთლიანი შემოსულობების – 99.5% შეადგინა.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მეორე კვარტალში მიღებულია 431.5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 406.3 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან 25.2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ქონების გადასახადი 2022 წლის ფაქტი 400.7 ათასი ლარი) შედარებით 30.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 6110.6 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი 5223.2 ათასი ლარი) შედარებით 887.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- გრანტების გეგმა საანგარიშო პერიოდში (მეორე კვარტალში) შეადგენს 5029.8 ათასი ლარს, ფაქტიურად 4227.6 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 84% და მთლიანი შემოსულობების – 37.7% შეადგინა.

- სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო მეორე კვარტალში 354.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 388.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 109.6%-ია და მთლიანი შემოსულობების – 3.4% შეადგინა.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 366.2 ათასი ლარი) შედარებით 21.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად ბანკის პროცენგიდან,

ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 189.6 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (157.8 ათასი ლარი) შედარებით 31.8 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 18.1 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელიდან - 4.4 ათასი ლარი, წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 8.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაფნობა და სხვა) გადაცემიდან - 5.2 ათასი ლარი.

აღმინისგრაფიული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 23.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (31.0 ათასი ლარი) 76.1%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელიდან მთლიანობაში მიღებულია 13.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (21.0 ათასი ლარი) 65.2%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე 13.7 ათასი ლარი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 9.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (10.0 ათასი ლარი) 98%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 9.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (6.0 ათასი ლარი) 16%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირაფნობა და სხვა) გადაცემიდან - 7.3 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან -2.3 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 106.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (84.6.0 ათასი ლარი) 125.7%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (120.0 ათასი ლარი) შედარებით 13.6 ათასი ლარით ნაკლებია.

გრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში (მეორე კვარტალში) მიღებულია 40.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (22.0 ათასი ლარი) 185.9%-ია. მათ შორის: წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 0.6 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 35.2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები 5.1 ათასი ლარია.

- არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი მეორე კვარტალში გეგმა განსაზღვრული იყო მეორე კვარტალში 46.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 56.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 121.7%-ია და მთლიანი შემოსულობების - 0.04% შეადგინა.
- 2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3627.9 ათასი ლარი, საიდანაც 3043.7 ათასი ლარი მიმართულ იქნა 2023 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, ხოლო 6 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 743.4 ათასი ლარი.

მარგვილის ბიუჯეტის 2021–2023 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის 6 თვე	2022 წლის 6 თვე	2023 წლის 6 თვე
გადასახადები	4,336.9	5,623.9	6,542.2
ქონების გადასახადი	224.0	400.7	431.5
სხვა გადასახადები	4,112.9	5,223.2	6,110.6
გრანტები	3,437.5	2,370.3	4,227.6
სხვა შემოსავლები	226.6	366.2	388.1
შემოსავლები საკუთრებიდან	125.0	209.8	207.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	13.9	18.2	33.2
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	53.0	120.0	106.4
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	34.7	18.2	40.9
არაფინანსური აქტივების კლება	119.8	195.9	56.0
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან		0.0	20.1
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	119.8	195.9	35.9
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0
სულ შემოსულობების ჯამი	8,120.8	8,556.3	11,213.9

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 11957.3 ათასი ლარი (6 თვის გეგმის 15785.8 ათასი ლარის 75.7%-ი). მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები გეგმით უნდა გაწეულიყო 8101.1 ათ. ლარი ფაქტიურად გახარჯულია 5481.8 ათ. ლარი გეგმიურის 67.7%.
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯები გეგმით უნდა გაწეულიყო 528.8 ათ. ლარი ფაქტიურად გახარჯულია 401.4 ათ. ლარი გეგმიურის 75.9%.
- ✓ განათლების ხარჯები გეგმით უნდა გაწეულიყო 1867.6 ათ. ლარი ფაქტიურად გახარჯულია 1528.4 ათ. ლარი გეგმიურის 81.8%.
- ✓ კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები გეგმით უნდა გაწეულიყო 1339.0 ათ. ლარი ფაქტიურად გახარჯულია 1157.9 ათ. ლარი გეგმიურის 86.5%.
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გეგმით უნდა გაწეულიყო 1036.0 ათ. ლარი ფაქტიურად გახარჯულია 961,2 ათ. ლარი გეგმიურის 92.8%.
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები გეგმით უნდა გაწეულიყო 1474.9 ათ. ლარი ფაქტიურად გახარჯულია 1141.0 ათ. ლარი გეგმიურის 67.9%.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)						
დასახელება	2021 წელი		2022 წელი		2023 წელი	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,523.0	19.8	2,380.7	28.5	2,267.4	19.1
თავდაცვა					65.7	0.5
ეკონომიკური საქმიანობა	2,702.7	35.2	2,270.0	27.2	4,091.1	34.5
გარემოს დაცვა	352.1	4.6	534.4	6.4	527.5	4.4
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	831.5	10.8	435.9	5.2	1,264.6	10.7
ჯანმრთელობის დაცვა	256.4	3.4	348.6	4.2	341.2	3.0
დასვენება და კულტურა	614.9	8.1	782.8	9.4	1,157.9	9.7
განათლება	1,117.1	14.5	1,299.9	15.5	1,528.4	12.9
სოციალური დაცვა	275.6	3.6	302.6	3.6	620.0	5.2

სულ ხარჯები	7,673. 3	100. 0	8,354. 9	100. 0	11,863. 8	100. 0
-------------	-------------	-----------	-------------	-----------	--------------	-----------

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

მარგვილის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და რუსეთის ფედერაციის უკრაინაში განხორციელებულმა შეჭრამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად მარგვილის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იმდობოდა მარგვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების ღონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2024-2027 წლებში მარგვილის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: მარგვილის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით მარგვილის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გააგარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომგანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მარგვილის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის

შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

შემუშავდა 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები.

- მარგვილის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:**
- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
 - დასუფთავება და გარემოს დაცვა;
 - განათლება;
 - კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
 - ტურიზმი;
 - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით							
პრიორიტეტი ს კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,992.8	5,614.1	6159,8	6,350.0	6,800.8	6,800.8
	მ.შ. რიცხოვნობა	190	190	190	190	190	190
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	10,379.2	13494,9	3,153,0	3,450.0	3,004.2	3004.2
	მ.შ. რიცხოვნობა	24	26	26	26	26	26
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	913.6	1064,5	1090,0	1000.0	1000.0	1100.0
	მ.შ. რიცხოვნობა	58	65	67	70	70	70
04 00	განათლება	2,655.6	3163,8	2871.0	2,700.0	2,800.0	3000
	მ.შ. რიცხოვნობა	222	256	263	260	265	270
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,907.0	2,511,8	2613,0	2,450.0	2,500.0	2,500.0
	მ.შ. რიცხოვნობა	223	242	242	242	245	245
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,342.6	1,647,1	1646.0	1,750.0	1,850.0	1,900.0
	მ.შ. რიცხოვნობა	13	13	13	13	13	13

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის

მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 01			508,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური გრანტული, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება მოვლა-პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და თანადაფინანსებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 30% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტრატეგიული მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გათვალისწინებული ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა: - გზების მშენებლობა - კაპიტალური შეკეთება; - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა - პატრონობა; გზების მშენებლობა- კაპიტალური შეკეთება ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია. საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის საბოლოო მიზანია მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, გროგუარებისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა		

კოდი	პროგრამის დასახელება	ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 02			200,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვას		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის საბოლოო მიზანია მარგვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდ-ბოგიერების რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი ხიდების მშენებლობა; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა
--	--

კოდი	პროგრამის დასახელება	წელის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 03			200,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მარგვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღელის მდგომარეობით წყალი მიეწოდება მოსხლეობის 40 პროცენტს, დანარჩენ მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		წყალსადენი ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 04		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარგვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ზონირება, მოსიარულეთა გროგუარების მოწყობა, სადღესასწაულო ღღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ახალი ხეების დარგვა და გაშშვანების მოღბში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრენების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასასვენებელი ადგილებით უზრუნველყოფა ღღე-ღამის ნების მიერ დრო ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;		

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკი
	მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. დასვენებისა და გართობის ადგილების კეთილმოწყობა.	44	30	№/A

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები		2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	02 02 05			230,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარტვილის მუნიციპალიტეტის ' ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები. რაც განაპირობებს ხარისხიან ხარისხიანად კარგად შესრულებულ სამუშაოებს.				
მოსალოდნელი შედეგი	სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია				
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი					
	ინდიკატორის დასახელება		საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	შექმნილი პროექტების რაოდენობა; საგარანტიო ვადაში, ობიექტზე წარმოშობილი ხარვეზის შედეგად მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზიანი.		5	10	№/A

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 07		700.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში ღამის პერიოდში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით, გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დასახლებული ტერიტორიის 70%-ზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი მოიცავს დაახლოებით 2000 ბოძს, ამდენივე სანათს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: – გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლუატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის გადაადგილებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო			
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	განათებული დასახლებული ტერიტორიის მოცულობა	75%	80%	მოსახლეობის მომართვიანობა, ავარიული სიტუაციები, ელ. ენერგიის ცვალებადობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ცენტრი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	02 06		320,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია „კეთილმოწყობის ცენტრი“ რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: მწვანე საფარის მოვლა პაგრონობა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გროგუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეცვალე პირუტყვისაგან დაცვა.			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის გადაადგილებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო			
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი				
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	კმაყოფილი მოსახლეობა	60%	80%	2-3%

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მარტვილის მუნიციპალიტეტის 'ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება,

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუთავება და ნარჩენების გაგანა			2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01				870,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“				
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული პარკებისა და სკვერების დაგვა-დასუთავება; სანაგვე კონტეინერების დაქლორვა, ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაგანა; დღეს არსებული სიტუაციით სულ ქალაქში სუთავება 61500 კვმ ფართობი, რაც მთლიანი დასასუთავებელი ტერიტორიის 35 პროცენტია. წელიწადში ხდება 3600 ტონა ნარჩენების გაგანა. დასუთავების სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის მოცვისთვის საჭიროა დამატებითი ურნების და ნაგვის მანქანების შესყიდვა.				
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო, დასუთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება;				
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი					
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	
	გატანილი ნარჩენების რაოდენობა	3600ტ.	4000ტ.	მოსახლეობის დაუდევრობა	
	დასუთავებელი ტერიტორიის რაოდენობა	61.5მ²	70.0 მ²		

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა,

რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

04 01 სკოლამდელი განათლების ფუნქციონირება 2024-2027 წლები

საქართველოში უმრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის.

მუნიციპალიტეტი უმრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბავშვო ბაგა - ბაღის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.

მუნიციპალიტეტში სულ 1585 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, გერიტორიაზე განთავსებულ 23 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 781 ბავშვის სწავლება. ხოლო 804 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის გერიტორიაზე ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უმრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება"(12 თანამშრომელი). სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 234 თანამშრომელი, მათ შორის 59 აღზრდელი და 47 თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უმრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

გენდერულ ჭრილში სტატისტიკით სულ მუნიციპალიტეტში 1585 სკოლამდელი ასაკის ბავშვია, მ.შ. გოგონა- 888 და ვაჟი- 698.

აქედან საბავშვო ბაღებში დარეგისტრირებულია სულ -781 ბავშვი, მათ შორის გოგონა -378, ვაჟი-349.

რიცხოვნობა გენდერულ ჭრილში

დასახელება	რაოდენობა 2020	რაოდენობა 2021	რაოდენობა 2022	რაოდენობა 2023
სულ საბავშვო ბაღის ასაკი მცხოვრები ბავშვი	1759	1675	1580	1585
მ.შ ვაჟი	930	842	687	698
მ.შ. გოგონა	829	833	893	887
სულ აღსაზრდელი	845	859	727	781
მ.შ. აღსაზრდელი ვაჟი	426	430	378	418
მ.შ. აღსაზრდელი გოგონა	421	429	349	363
სულ თანამშრომელი	192	211	210	234
მ.შ. თანამშრომელი მამაკაცი	6	6	6	9
მ.შ. თანამშრომელი ქალბატონი	186	205	204	225

ამჟამად ფორმა 100-ით დადასტურებული დიაგნოზით შშმპ არ გვყავს საბავშვო ბაღში. მათი არსებობის შემთხვევაში ინკლუზიური განათლებით უზრუნველსაყოფად არ გვყავს სპეც. მასწავლებელი, თუმცა ცენტრის ღირებულება უახლოეს პერიოდში ცდილობს უზრუნველყოს სპეც. მასწავლებლის სტაგუსის მისაღებად აღმზრდელთა გადამზადება.

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი ღარეგულირებულია "აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით, "აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით,

კვების სტანდარტი ღარეგულირებულია "ტექნიკური რეგლამენტის - „აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით,

ჰიგიენის მიმართულებით "ტექნიკური რეგლამენტის - აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით,

ცენტრში შემავალ ბაღებში სახანძრო უსაფრთხოება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილების 17-ე მუხლის შესაბამისად სრულად არ არის უზრუნველყოფილი.

სტრუქტურა

თანამდებობის დასახელება	შტატიო განსაზღვრული რაოდენობა	ერთი თანამშრომლის წლიური თანამდებობრივი სარგო	სულ თანამდებობრივი სარგო
აღმზრდელი(4-5 ჯგუფიან ბაღებში)	16	მაგ: 720*12=8640	16*8640= 138240
აღმზრდელი(1-2 ჯგუფიან ბაღებში)	33	680*12=8160	33*8160=269280
აღმზრდელი II (4-5 ჯგუფიან ბაღებში)	5	480*12=5760	5*5760=28800
აღმზრდელი II (2 ჯგუფიან ბაღებში)	4	460*12=5520	4*5520=22080
აღმზრდელის თანამშემწე (4-5 ჯგუფიან ბაღებში)	14	570*12=6840	14*6840=95760
აღმზრდელის თანამშემწე (1-2 ჯგუფიან ბაღებში)	33	520*12=6240	33*6240=205920
მზარეული (4-5 ჯგუფიან ბაღებში)	2	600*12=7200	2*7200=14400
მზარეული (1-2 ჯგუფიან ბაღებში)	21	500*12=6000	21*6000=126000
ბაღის უფროსი (4-5 ჯგუფიან ბაღებში)	2	800*12=9600	2*9600=19200
ბაღის უფროსი (1-2 ჯგუფიან ბაღებში)	21	720*12=8640	21*8640=181440
მეთოდისტი	1	400*12=4800	4800

მუსიკის მასწავლებელი (4-5 ჯგუფიან ბალებში)	2	560*12=6720	2*6720=13440
მუსიკის მასწავლებელი (1-2 ჯგუფიან ბალებში)	14	400*12=4800	14*4800=67200
მელდა (4-5 ჯგუფიან ბალებში)	2	560*12=6720	2*6720=13440
მელდა (1-2 ჯგუფიან ბალებში)	12	500*12=6000	12*6000=72000
სამეურნეო ნაწილის გამგე (4-5 ჯგუფიან ბალებში)	5	600*12=7200	5*7200=36000
სამეურნეო ნაწილის გამგე (4-5 ჯგუფიან ბალებში)	4	450*12=5400	4*5400=21600
მზარეულის თანამშემწე (4-5 ჯგუფიან ბალებში)	4	500*12=6000	4*6000=24000
სპეც. მასწავლებელი	3	720*12=8640	3*8640=25920
მზარეულის თანამშემწე	5	450*12=5400	5*5400=27000
დიასახლისი (4-5 ჯგუფიან ბალებში)	2	470*12=5640	2*5640=11280
დიასახლისი (1-2 ჯგუფიან ბალებში)	10	470*12=5640	10*5640=56400
ღარაჯი (4-5 ჯგუფიან ბალებში)	2	350*12=4200	2*4200=8400
ღარაჯი	4	310*12=3720	4*3720=14880
მეეზოვე	1	300*12=3600	3600
სულ	222		

მიზანი

სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელების შესაბამისი წლოვანების ბავშვებისთვის იმ უნარჩვევების მიცემა, რომელიც განსაზრვრულია შესაბამისი სტანდარტებით.

2023 წლის 23 თებერვალს საქართველოს მთავრობის N76 დადგენილებით დამტკიცდა „ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს, ამ სტანდარტების დაკმაყოფილების პირობებსა და პროცედურებს. მასშივე განსაზღვრულია დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. ასევე გასათვალისწინებელია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რომლის თანახმადაც ადრეული ასაკის ჯგუფში 13 ბავშვს უნდა ემსახურობოდეს 1 აღმზრდელი, ხოლო ყველა დანარჩენ სხვა ჯგუფს 15 ბავშვს - 1 აღმზრდელი. აღნიშნულ ბავშვთა რაოდენობაზე მეტი ბავშვის არსებობის შემთხვევაში საჭიროა ჯგუფში (მაქსიმუმ 30 ბავშვი) ერთდროულად იმყოფებოდეს 2 აღმზრდელი. მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ცენტრის ღირებულებამ ჯგუფში 2 აღმზრდელის უზრუნველყოფა გადაწყვიტა საბავშვო ბაღებში მეორე ცვლის აღმზრდელის არსებობით, რაც გამოწვეულია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნებით. კერძოდ, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას აღმზრდელის სამუშაო არასაკონტაქტო ანაზღაურებადი საათი, რომელიც ავალდებულებს მას იმუშაოს იმავე დღის რესურსების შექმნაზე, პროფესიული ღონის ამაღლებაზე და დაკავდეს კოლეგებთან თანამშრომლობით. სწორედ ასეთ აღმზრდელს შეცვლის მეორე ცვლის აღმზრდელი 1 საათის განმავლობაში. საბავშვო ბაღში არსებული რესურსები უნდა აკმაყოფილებდეს შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით. ეს რესურსებია როგორც საკანცელარიო ნივთები, ასევე წიგნები, სათამაშოები და ფიზიკური შიდა და გარე სივრცის მოსაწყობი კონსტრუქციები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ცენტრის მიერ სკოლამდელი დაწესებულებების შესაბამისობაში მოსაყვანად განსახორციელებელი აქტივობები განსაზღვრულია 2024-27 წლების პროგრამული ბიუჯეტით.

პროგრამის განაცხადის ფორმა					
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:					
განათლება					
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				04 01	
პროგრამის დასახელება:					
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება					
პროგრამის განმახორციელებელი:					
ა.(ა.)ი.პ.- „მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“					
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წლები				
პროგრამის მიზანი:					
სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელების შესაბამისი წლოვანების ბავშვებისთვის იმ უნარჩვევების მიცემა, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი სტანდარტებით.					
პროგრამის აღწერა:					

მუნიციპალიტეტში სულ 1585 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 23 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 781 ბავშვის სწავლება. ხოლო 804 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება"(12 თანამშრომელი). სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 222 თანამშრომელი, მათ შორის 58 აღმზრდელი და 47 თანაშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ემო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის ბიუჯეტი					
ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027წელი
სწავლების ხარისხის ამაღლება	60 000	15 000	15 000	15 000	15 000
კვების ხარისხის ამაღლება	1940000	460000	480000	500000	500000
ბაღების აღჭურვა	283500	134000	74500	63000	12000
ბაღების აღმინისტრირება	17887900	3444700	4336300	4769800	5337100
სულ პროგრამა	20171400	4053700	4905800	5347800	5864100
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი					
შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; სტანდარტების შესაბამისი გარემო					

პროგრამები/ქვეპროგრამები/ლონისძიებები

- სწავლების ხარისხის ამაღლება;**
იგეგმება თანამშრომლების გადამზადება. კერძოდ, იგეგმება აღმზრდელების გადამზადება, სადაც ყველა აღმზრდელი გაივლის 66 საათიან „ტრენინგ მოდულს“, ასევე განხორციელდება მეთოდისცემის, სპეც მასწავლებლების, მუსიკის მასწავლებლების, ბილინგვური მასწავლებლების(არსებობის შემთხვევაში), ექთნების და ა.შ გადამზადება.

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა					
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:					
აღმზრდელების სწავლება-გადამზადება					
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01 01				
ქვეპროგრამის დასახელება:					
სწავლების ხარისხის ამაღლება					
არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა					
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	განათლების სამსახური				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:					
ა.ა.ი.პ.- „მარგვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“					

დაფინანსების წყარო					
დასახელება		2024	2025	2026	2027
მუნიციპალური ბიუჯეტი		15000	15000	15000	15000
სახელმწიფო ბიუჯეტი		-	-	-	-
სხვა					
სულ ქვეპროგრამა		15000	15000	15000	15000

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; 2023 წლამდე ცენტრში შემავალი სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებსა და აღმზრდელის თანაშემწეებს მიეწოდათ გრენინგ მომსახურება. საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტის მიზანია აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საბავშვო ბაღებში შესწავლილი იქნა არსებულ ბაღებში სწავლების ხარისხი და დადგინდა რომ სკოლამდელი დაწესებულებების აღსამზრდელები (განხილული ასაკობრივ წრილში) ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს, რაც ძირითადად აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაციით არის გამოწვეული. სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამით. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის გრენინგ - კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს.

დასახელება	პროექტები 2024 წლისთვის			ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)	
აღმზრდელების სწავლება გადამზადება	81	185	15 000	საქონელი და მომსახურება
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
აღმზრდელების სწავლება გადამზადება	X			

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)

